ნულიფიკაციის პრობლემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში

ანა ბერია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ანა ბერია

2023 წელი

აბსტრაქტი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის დემოკრატიული პროცესი, რომელიც აძლევს შესაძლებლობას მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტი ერთგვარად აჟღერებს საზოგადოების აზრს, რადგან ნაფიც მსაჯულებს აქვთ უფლება უარი თქვან კანონის გამოყენებაზე, როდესაც ის ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მორალს. ნაფიც მსაჯულთა უფლებას უარი თქვან კანონის გამოყენებაზე და დააფუძნონ ვერდიქტი მორალსა და სამართლიანობაზე ეწოდება ნულიფიკაცია.

ნაშრომის ფარგლებში თავდაპირველად განხილული იქნება ნაფიც მსაჯულთა წარმოშობისა და განვითარების ისტორია. მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარებას, ადრეული ჩანასახებიდან დღემდე. ასევე მოცემული ნაშრომით მკითხველს ექნება შესაძლებლობა შეაფასოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც დემოკრატიული პროცესის, მნიშვნელობა. გაიგოს მეტი ნულიფიკაციისა და მისი სახეების შესახებ. ეს არის საკმაოდ წინააღმდეგობრივი ტერმინი, რომელიც თავის თავში მოიცავს უსამართლო და სამართლიან ვერდიქტებს. ნულიფიკაციის, როგორც კანონის გამოყენებაზე უარის თქმის უფლებამოსილების კარგად განსაზღვრაში მკითხველს დაეხმარება მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტები, რომლებიც განხილულია ნაშრომში.

კვლევის მიზანია დაადგინოს ნულიფიკაციის გამომწვევი ფაქტორები და მათი აღმოფხვრის გზები, რომელიც საბოლოო ჯამში მაქსიმალურად შეამცირებს უსამართლო ვერდიქტებს. სწორედ ამ მიზნით განხილულია მოსამართლის განმარტებების მნიშვენლობა, ნაფიც მსაჯულთა სწორად შერჩევის აუცილებლობა და მედიის ზეგავლენის შემცირების მექანიზმები, სხვდასხვა ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს მაგალითზეც.

საკვანძო სიტყვები: ნულიფიკაცია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, voir dire- შერჩევის პროცესი.

Abstract

A jury trial is a democratic process, that allows citizens to participate in the administration of justice. A jury's verdict is a reflection of public opinion, because juries have the right to refuse to apply the law when it conflicts with public morals. The right of a jury to refuse to apply the law and base its verdict on morality and justice is called nullification.

The history of the origin and development of the jury will be discussed in the framework of the work. An important part is devoted to the development of the Jury Institute in Georgia, from its earliest beginnings to the present day. Also, with this work, the reader will have the opportunity to evaluate the importance of the jury trial as a democratic process. Learn more about nullification and its types. This is a rather contradictory term, which includes both unjust and just verdicts. The many cases and jury verdicts discussed in the paper will help the reader to better define the power of nullification as a matter of law.

The purpose of the study is to determine the factors causing nullification and ways to eliminate them, which will ultimately reduce the number of unjust verdicts as much as possible. It is for this purpose that the importance of the judge's explanations, the need for the correct selection of jurors and the mechanisms for reducing the influence of the media are discussed, using the example of other countries, including Georgia.

Key words: nullification, jury trial, voir dire - selection process.